დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი (ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის No6).

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ანა უგულავა

წევრები:

ციური დურული

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: 405318570

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2022 წლის 15 ნოემბრის № MES 3 22 0001458754 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა მიმდინარე წლის 14 დეკემბერს განახორციელა ვიზიტი ქ. თბილისსი შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში (შემდგომში კოლეჯი) „საოფისე საქმე“ საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის დღეს, კოლეჯში მივლენილ იქნა ცენტრის ხუთი ექსპერტი, რომლებიც პარალელურ რეჟიმში იხილავდნენ სამი სხვადასხვა პროგრამის (საოფისე საქმე, ღონისძიებების ორგანიზება, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი) დამატების საკითხს. კონკრეტულად „საოფისე საქმის“ პროგრამის დამატების თემატიკაზე მუშაობდა ორი ექსპერტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ჩამოყალიბდა ვიზიტის ფარგლებში ადგილზე შესამოწმებელი დოკუმენტების ნუსხა, შედგა დღის განრიგი, რომელიც გადაეგზავნა კოლეჯს და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი (იხ. ვიზიტის განრიგი, დანართი N1).

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ განმახორციელებლებსაც და პროგრამის ხელმძღვანელსაც, რომელიც ამავდროულად გახლავთ დირექტორის მოადგილე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები. ექსპერტები გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე ექსპერტების მიერ შემოწმდა კოლეჯის მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი წიგნადი ფონდი, შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულება/მემორანდუმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დასასრულს ექსპერტების მიერ მოხდა მიგნებების გაცნობა კოლეჯის წარმომადგენლებისთვის. ექსპერტთა შეფასებით ვიზიტი განხორციელდა კონსტრუქციულ გარემოში.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

1. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი გახლავთ საერთაშორისო ორგანიზაციის EfVET – the European Forum of Technical and Vocational Education and Training - წევრი. რაც კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას მაქსიმალურად აუწყოს ფეხი პროფესიული განათლების თანამედროვე მიდგომებს. ორგანიზაცია აერთიანებს პროფესიულ სასწავლებლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული თანამშრომლობა სასარგებლოა როგორც კოლეჯისათვის, ასევე კოლეჯის სტუდენტებისათვის. რომელთაც სხვებთან შედარებით მარტივად მიუწვდებათ ხელი პროფესიული განათლების თანამედროვე ტენდენციებზე.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კოლეჯში როგორც მიმდინარე ასევე გასულ წელსაც ბევრი ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა, მათ შორის ფართის ცვლილება, „ვებტექნოლოგიების“ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა და ა.შ. ამასთან, „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე გასულ წელს ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას უარი ეთქვა პროგრამის დამატებაზე. აღნიშნული წარმოების ფარგლებში გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია კოლეჯის მხრიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია:

არ გაცემულა.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

ექსპერტთა მიერ დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა ინდიკატორის ფარგლებში გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ:

ზოგადი სახის რეკომენდაცია - დაწესებულებას მიეცა დოკუმენტების სამართლებრივი თვალსაზრისით გამართვისა და უკეთესი აღრიცხვიანობის მიზნით მათი გადახედვის რეკომენდაცია. კერძოდ, უმჯობესი იქნება კოლეჯმა მოახდინოს რამდენიმე დოკუმენტის გადახედვა და მათი გასწორება სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით. ამასთან, უმჯობესი იქნება რამდენიმე თემატური დოკუმენტის გაერთიანება ერთი დოკუმენტის ქვეშ, მაგალითისათვის შესაძლებელია „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“ იყოს „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესის“ შემადგენელი ნაწილი. დოკუმენტების აღნიშნული თვალსაზრისით მოწესრიგება გაამარტივებს და დაზოგავს როგორც ექსპერტების, ასევე კოლეჯის პერსონალისა და სტუდენტების დროის რესურსს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.5.

დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მან თავისივე განაცხადთან მოიყვანოს შესაბამისობაში პროგრამის საბიბლიოთეკო რესურსის მდგომარეობა და უზრუნველყოს არა მხოლოდ ელექტრონულად, არამედ სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებობაც.

2.3.1.1.

დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ახალი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარმოებულ იქნას დაინტერესებული პირების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ პროცესის ამსახველი მატერიალური თუ ელექტრონული მასალების წარმოება და მათი წარმოებისათვის საჭირო პროცედურული წესების შემუშავება.

2.4.2.2

სასურველია ვერიფიკაციის მექანიზმი დეტალურად არეგულირებდეს ვერიფიკაციის ისეთ ძირითადი ეტაპებს, როგორებიცაა: ვერიფიკაციის გეგმის შედგენა, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა, განხილვის ორგანიზება, ფაქტობრივ გარემოებებზე შეთანხმება და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა. ამასთან, ვინაიდან კოლეჯს ყავს ახალი ხარისხის მართვის მენეჯერი, კარგი იქნება ისი მხრიდან მოხდეს ვერიფიკაციის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების დეტალური შესწავლა, გაანალიზება და განახლება მათი შემდგომი განვითარების მიზნებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	საოფისე საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0415
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აკადემიური საბჭოს 2022 წლის 8 ნოემბრის 18/22 ოქმი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30, მოდულური (კოოპერაციული) მიდგომით მისამართი: ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. N6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.</u>

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომლის თანახმადაც პროგრამის დამატების შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილება, რომელიც განხილული და მიღებულია კოლეჯის 2022 წლის 08 ნოემბრის აკადემიური საბჭოს სხდომაზე, გამომდინარეობს განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებიდან, მჭიდრო კავშირშია კოლეჯის მისიასთან და ეფუძნება კოლეჯის მიერ განხორციელებულ ბაზრის მოთხოვნის შესწავლის შედეგებს. კოლეჯის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება, პროფესიული სტუდენტის აღჭურვა თეორიულ-პრაქტიკული ცოდნით და უნარებით, რაც ხელს შეუწყობს მის დასაქმებას და თვითრეალიზაციას.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი არის საქართველოს უნივერსიტეტის შვილობილი კომპანია. უნივერსიტეტმა რამდენჯერმე მიმართა კოლეჯს საოფისე საქმის სპეციალისტების მომზადების თხოვნით, რომლის არსებობის საჭიროებაც დადგა უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნივერსიტეტი საკმაოდ დიდი ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 6 სკოლას, რამდენიმე ათეულ დეპარტამენტსა თუ ოფისს, სადაც მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული კადრების არსებობა. პროგრამა მოთხოვნადი იყოს როგორც პანდემიის, ასევე პოსტპანდემიურ პერიოდში. ამაზე მეტყველებს საქართველოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელებული ყოველწლიური შრომის ბაზრის ანალიზი, რომლის თანახმადაც პროფესია საკმაოდ პოპულარულია და 2020 წლის განმავლობაში ამ პროფესიული ჯგუფისთვის ჯამში 5,542 ვაკანსია გამოქვეყნდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამასთან, დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელი პირის მიერ, პროფესიული განათლების მასწავლებლების, სასწავლო პროცესის მენეჯერისა და დაწესებულების სხვადასხვა სტურუქტურული ერთეულების ჩართულობით. დუალური სწავლების შემთხვევაში პროგრამა შემუშავდება დაწესებულებისა და სასწავლო საწარმოს მიერ ერთობლივად, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის მხარდაჭერით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გაითვალიწინება დამსაქმებელთა მოთხოვნები და ბაზრის კვლევა. შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მონიტორინგს უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი, რათა პროგრამისა და მოდულების ადაპტირებისას გამოირიცხოს ტექნიკური სახის უზუსტობების არსებობა და შესაბამისობაში იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული დადებითი დასკვნის შემთხვევაში, პროექტი წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობითა და ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეესაბამება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 8 ნოემბრის 18/22 ოქმით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის თანხმად განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ შესაძლებელია პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი კოლეჯში მოქმედები „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მარეგულირებელი დოკუმენტი. რომელიც ითვალისწინებს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B და C) გარემო შესაძლებლობებს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას; საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსებს; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად. დასაბუთების შესაბამისად კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაოდენობა შეადგენს 30-ს. წარმოდგენილი დოკუმენტის ანალიზით დასტურდება, რომ კოლეჯი პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

კოლეჯის მფლობელობაშია პროგრამის განხორციელებისა და უზრუნველყოფისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, როგორიცაა: კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ინვენტარი და სხვ. ასევე, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული მასალა-ნედლეული. პროგრამით გათვალისწინებული საბიბლიოთეკო რესურსი ძირითადად წარმოდგენილია ელექტრონული სახით და განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული არ არის არჩევითი მოდულების არსებობა.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

კოლეჯიში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად პროგრამის პროექტს ამტკიცებს კოლეჯის აკადემიური საბჭო, შესაბამისად აღნიშნული პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს, კერძოდ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 8 ნოემბრის N18/22 ოქმით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ამ პროგრამის სახელწოდებაა „საოფისე საქმე“, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია - „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმესი.“ შესაბამისად პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. აღნიშნულ შემთხვევაში „საოფისე საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „საოფისე საქმე და ღონისძიების ორგანიზება/Office Work and Event Management“ სარეგისტრაციო ნომრით: 04119-პ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს: პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები - „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ აღნიშნული სასწავლო გეგმა, გათვალისწინებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის მეთოდები და შეფასების მიმართულებები შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- აკადემიური საბჭოს 2022 წლის 8 ნოემბრის N18/22 ოქმით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, ფაქტობრივი გარემოება;
- ვებ.გვერდი https://ugcollege.ge/ka;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.</u>

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის - 30 პროფესიული სტუდენტისათვის უზრუნველყოფილია კოლეჯის და მისი პარტნიორი დაწესებულების - საქართველოს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსით, როგორიცაა: კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ინვენტარი და სხვ. ასევე, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული მასალა-ნედლეული.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათგან - 17 დარგობრივი მოდულების წამყვანი მასწავლებელია. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მოდულზე გათვალისწინებულია ორი მასწავლებელი, რაც საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას უზრუნველყოფს;

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს პროგრამის პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. მათ უმრავლესობას აქვს, როგორც მოდულის შესაბამისი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი, ასევე, დარგში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება; ასევე, გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, პერსონალისათვის პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები და სხვ.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მისი აკადემიური ხარისხით/კვალიფიკაციით და პრაქტიკული გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი ამავე დროს არის კოლეჯის დირექტორის მოადგილე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

პროგრამით გათვალისწინებული საბიბლიოთეკო რესურსი ძირითადად წარმოდგენილია ელექტრონული სახით და განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არის წარმოდგენილი პროგრამის ზოგადი მოდულების სახელმძღვანელოები და დარგობრივი მოდულის სახელმძღვანელოების ნაწილი. დაწესებულებას თავის განაცხადში აღნიშნული აქვს, რომ კოლეჯს პროგრამით გათვალისწინებული საბიბლიოთეკო რესურსი აქვს მატერიალური და ელექტრონული სახით. ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ თავისივე განაცხადთან მოიყვანოს შესაბამისობაში პროგრამის საბიბლიოთეკო რესურსის მდგომარეობა და უზრუნველყოს არა მხოლოდ ელექტრონულად, არამედ სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებობაც.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯი ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, აქვს ლიფტი, ასევე ადაპტირებული სველი წერტილები. კოლეჯს დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი. ამ ეტაპზე კოლეჯს არ ჰყავს სსსმ სტუდენტი.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს შემუშავებული აქვს საოფისე საქმის პროფესიული პროგრამის ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 24 პროფესიული სტუდენტით. პროგრამის სავარაუდო შემოსავლებისა (30 სტუდენტის შემთხვევაში, თითოეულის გადასახადი - 2250 ლარი) და გასაწევი ხარჯების შედარებით იკვეთება, რომ კოლეჯის ფინანსური რესურსით სავსებით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აკადემიური საბჭოს 2022 წლის 8 ნოემბრის N18/22 ოქმით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, ფაქტობრივი გარემოება;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვებ.გვერდი https://ugcollege.ge/ka;
- ადგილზე დათვალიერებით;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.</u>

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. დაწესებულებას შემუშავებული და კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N 01/20 ოქმით დამტკიცებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მარეგულირებელი დოკუმენტი. ასევე საგანმანთლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის, პროგრამის გაუქმების, მობილობით გადასვლის მექანიზმის მარეგულირებელ ნორმებს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავების მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის როგორც პროცესის დაგეგმვა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის და შეფასების მიზნით. ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება. ამ ორივე დოკუმენტის შესწავლის შედეგად უნდა ითქვას, რომ კოლეჯს დოკუმენტური რეგულირების დონეზე გაწერილი აქვს პროგრამის შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მექანიზმები, თუმცა როგორც გასაუბრების შედეგად გამოვლინდა კოლეჯს ყავს ხარისხის მართვის ახალი მენეჯერი. შესაბამისად, მისი მხრიდან პირველ ეტაპზე მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტების რედაქტირება/გაუმჯობესება. მაგალითისათვის მისი მხრიდან ვიზიტზე წარმოდგენილ იქნა განახლებული ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უზრუნველყოფს სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებების განხორციელებას სასწავლო მუშაობის ხარისხის სისტემური სრულყოფისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას, სტუდენტთა სასწავლო პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების (კითხვარების, დანართების და სხვ.) შემუშავებას, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად შესაბამისი პოლიტიკისა და კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურების შემუშავებას, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად რეკომენდაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დეტალების დაზუსტების მიზნით, განხორციელდა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრება, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვების ანალიზის, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტი, მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, კურსდამთავრებული) კვლევის ანალიზზე ხორციელდება კოლეჯში პროგრამების შეფასება. მარეგულირებელ დოკუმენტებში დარეგულირებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში ვინ ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გათვალისწინებით შესაბამის ღონისძიებებს. პროგრამების შეფასებისთვის კოლეჯში შემუშავებულია შემდეგი კითხვარები:

- კურსდამთავრებულთა დასაქმების და კმაყოფილების კითხვარი
- დასაქმებულების კითხვარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტუდენტების კითხვარი
- მასწავლებელების კითხვარი
- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის კითხვარი.

კითხვარები შემოწმებულ იქნა ვიზიტის ფარგლებში.

ამასთან, გასაუბრებაზე ხარისხის მენეჯერის მხრიდან დადასტურდა, რომ პროგრამების განვითარებისათვის კოლეჯი მუდმივად გამოხატავს მზაობას გაიზიაროს საუკეთესო ადგილობრივი ან/და საერთაშორისო პრაქტიკა, უახლესი კვლევის შედეგები, ჩაატაროს გამოკითხვები პოტენციურ დამსაქმებლებთან და ა.შ. ექსპერტები თვლიან, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. თუმცა ამ ინდიკატორის ფარგლებში ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ახალი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარმოებულ იქნას დაინტერესებული პირების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ პროცესის ამსახველი მატერიალური თუ ელექტრონული მასალების წარმოება და მათი წარმოებისათვის საჭირო პროცედურული წესების შემუშავება.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების მექანიზმები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა ანალიზის და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ინტერვიურებით დგინდება, რომ ჩატარებული გამოკითხვებისა და მეცადინეობებზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასწრების მასალების ანალიზის საფუძველზე, ხდება მიღებული შედეგების/მონაცემების ანალიზი, დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმა და განსაზღვრა, ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ხორციელდება სამოქმედო გეგმის შემუშავება და ცვლილებების შეტანა საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების დაცვით, კერძოდ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პირს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი პირის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს წარედგინება ცვლილების განხორციელების დასაბუთება; ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მენეჯერი განიხილავს აღნიშნულ ცვლილებას და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, უბრუნებს წარმდგენს. ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ცვლილების პროექტი წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- ვერიფიკაციის პროცედურა და მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო გეგმა;
- საქართველოს უნივერსიტეტთან 2021 წლის 1 მარტს გაფორმებული მემორანდუმი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2.4.1 <u>სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.</u>

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროგრამის განსახორციელებლად საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად გამოიყენება სასწავლო გეგმა. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო გეგმა წინაპირობებიანი მოდულის შემთხვევაში ითვალისწინებს დროის შუალედს განმეორებითი შეფასებისათვის, რაც ეთანხმება დადგენილ წესს და ასევე კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულ რეგულაციას. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა (სასწავლო დატვირთვა არის არაუმეტეს 40 საათი კვირაში). შესაბამისად, ცალსახაა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯს ყავს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ეფექტიანად ორგანიზებასა და მართვაზე პროფესიული სტუდენტების საჭიროების გათვალისწინებით და ექვემდებარება დირექტორს. „ტრუქტურული ერთეულების, სამუშაო აღწერილობის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად იგი კოორდინაციას და მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის წარმართვას და პასუხისმგებელია მის ეფექტურად ორგანიზებასა და მართვაზე. უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტირებული გარემოს შექმნას და შესაბამისი მომსახურებას. ასევე მისი ფუნქციაა მოდულის მსვლელობის მონიტორინგი, ლექტორების მომსახურება, პროფესიულ სტუდენტებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტების მომზადება და გაცემა; მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების (დიპლომი) რეგისტრაციის ჟურნალის წარმოების უზრუნველყოფა; პროფესიული სტუდენტისათვის ცხრილის შედგენა. შიდა და გარე რეესტრების შევსება და განახლება. ზრუნავს კოლეჯის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების განხორციელებაზე. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფენ სამართლიანი, კონკურენტული, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; ამისათვის პროგრამით განსაზღვრულ მოდულებში მითითებულია სწავლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამედროვე მეთოდები, შიდა ონლაინ სისტემა, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე, აღნიშნულის გამოყენებით სტუდენტებს გამარტივებული ექნებათ კომუნიკაცია კოლეჯის ადმინისტრაციასთან, მათ შეეძლებათ ერთ სივრცეში დაწერონ განცხადება, ნახონ შეფასებები, საინფორმაციო წერილები, აკონტროლონ გამოცდების და სასწავლო ცხრილები და ა.შ.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას:

- სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში შესაძლოა ჩართული იყოს სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავდება კოლეჯის შესაბამისი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;
- წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარებისას
- იმ შემთხვევაში თუ პროფესიულ სტუდენტს სჭირდება სასწავლო რესურსებთან ადაპტირება, პროფესიული მასწავლებელი უწევს დახმარებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მასწავლებელი ვერ ახორციელებს ამ ტიპის დახმარებას, იგი აყენებს მოთხოვნას კოლეჯის დირექტორთან და შესაბამისად, ხდება სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება და პასუხისმგებელი პირების გაწერა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კოლეჯის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მენეჯერის, მოდულის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, უშუალოდ სტუდენტის ან სტუდენტების მიერ. მათი ძირითადი მიზანია, მოხდეს ზუსტი განსაზღვრა თუ რა ტიპის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შეიქმნას და რა ტიპის რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიაღწიოს სასწავლო შედეგს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალირი სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი მექანიზმების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უზრუნველყოფილი იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროგრამის მოდულის საწარმოო პრაქტიკა განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს "საქართველოს უნივერსიტეტთან" . მემორანდუმი მოქმედია უვადოდ. მემორანდუმში განსაზღვრულია პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (30 სტუდენტი). მემორანდუმში მოცემულია მხარეთა უფლება-მოვალეობები და აღნიშნულია, რომ საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში პარტნიორი უზრუნველყოფს სტუდენტებს საჭირო აღჭურვილობით და მასალა-ნედლეულით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის განხორციელების სპეციფიკა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმების დაცვას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები და დაწესებულების ვალდებულებები შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში. დაწესებულებას ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების სფეროში დაწესებულებას შემუშავებული და საიტზე განთავსებული აქვს რიგი დოკუმენტები, მაგალითისათვის: უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, საგანგებო სიტუაციების მართვის პროცედურები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი და ა.შ. კოლეჯის შენობის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების წესი;
- ვერიფიკაციის პროცედურა და მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან შპს საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმები;
- შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი წესი;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და პროცედურები;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- ადგილზე დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.</u>

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ, განმეორებითი შეფასების ადმინისრტირების საკითხები, მათ შორის სააპელაციო საცივრის რეგისტრაციის წესი და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია ხორციელდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, შესაბამისი დარგის სპეციალისტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართულობით. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მენეჯერი მიერ გაჟღერდა რომ იგი გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის გადახედვას და განახლებას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისათვის კოლეჯში არსებობს შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი. ვერიფიკაციის ჯგუფი შესაძლოა დაკომპლექტებული იყოს: კოლეჯის დირექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის ან/და პროფესიული მოდულის მასწავლებელისა და საჭიროების შემთხვევაში სხვა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირის მიერ. ჯგუფის ამოცანაა მოახდინოს შიდა შეფასების ჩატარება, კითხვარების შეგროვება და შეგროვებული მონაცემების ანალიზი. პროფესიულ სტუდენტთან მიღწევების ანალიზი. ჯგუფს ევალება მოახდინოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობისა და საიმედოობის შემოწმება. შიდა ვერიფიკაციის გეგმა არის მუდმივად ცვლადი და ის შეიძლება შეიცვალოს საჭიროების მიხედვით, რომელსაც ადგენს პროცესის ხელმძღვანელი და მოდულის მასწავლებელი. აღნიშნული გეგმა ანგარიშის სახით წარედგინება კოლეჯის დირექტორს. შიდა ვერიფიკაცია შეიძლება ჩატარდეს ყველა მოდულის დასრულების შემდეგ. აღნიშნული პროცედურა მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას. მოდულ(ებ)ის შემოწმების შერჩევა ხდება შემთხვევითი შერჩევის გზით, ირჩევა შეფასებისთვის საკმარისი ნიუშავები, რომ თითოეული მოდულის ფარგლებში დადგინდეს, თუ რამდენად თანმდიმდევრულად ხდება შეფასება და რამდენად იცავს მასწავლებელი კოლეჯის მიერ დადგენილ სტანდარტებს. კოლეჯში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმების შესაბამისად განსაზღვრულია შერჩეული სტუდენტების პროცენტული რაოდენობა და ამ რაოდენობაში დაცულია გენდერული კრიტერიუმი. შიდა ვერიფიკაციის გეგმა ინახება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ 3 წლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავლობაში. ვერიფიკაციის პროცესის დასრულებისას იქმნება დასკვნა. დასკვნაში მითითებული ცვლილებები თანხმდება კოლეჯის დირექტორთან, რის შემდეგაც ხდება მისი განხორციელება. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა გასაუბრებისას აღნიშნა, იგეგმება შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ვერიფიკაცია და შედეგების გათვალისწინებით განხორციელდება მექანიზმების სრულყოფა და გაუმჯობესება. მისი თქმით აღნიშნული პროცესი დაწყებულია, მისი მხრიდან მომხდარია დასკვნის ფორმის ცვლილება და იგეგმება სხვა მარეგულირებელი ნორმების და დოკუმენტაციის რევიზიაც. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია ვინაიდან კოლეჯს ყავს ახალი ხარისხის მართვის მენეჯერი, კარგი იქნება მისი მხრიდან მოხდეს ვერიფიკაციის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების დეტალური შესწავლა, გაანალიზება და განახლება მათი შემდგომი განვითარების მიზნებისათვის, კერძოდ უმჯობესი იქნება ნათლად გაიწეროს დაინტერესებული პირების ინფორმირების გზები, სამოქმედო გეგმის შედგენის და შემდეგი რეაგირების მექანიზმები და ა.შ.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესის მე-4 მუხლში გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის უზრუნველყოფა. აქვე აღნიშნულია, რომ პროფესიული სტუდენტების მიერ შექმნილი მტკიცებულებები ინახება სტუდენტის პორტფოლიოში, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ კოლეჯი იტოვებს უფლებას აღნიშნული მასალის განადგურება განხორციელდეს კოლეჯის ელექტორნული საცავო სისტემიდან. სტანდარტის შესაბამისად შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯში მოქმედი ვერიფიკაციის წესის შესაბამისად დაწესებულება განახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, ხოლო მიღებულ შედეგებს გამოიყენებს პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, რადგან ვერიფიკაციის ბოლო ეტაპი მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ყველა ხარვეზის კვალიფიკაციის მომდევნო შეფასებისთვის გამოსწორებას, რომელიც შიდა შემმოწმებლის (ვერიფიკატორის) მიერ იქნება გამოვლენილი. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. პროგრამის განმახორციელებლებთან, ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა და დადასტურდა, რომ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი
- ვერიფიკაციის პროცედურა და მექნიზმები
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- გასაუბრების შედეგები;
- დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

24.01.2023

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: